წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს მორიგი სხდომის

ოქმი N 31

ქ. წალკა; 15.10.2025 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: **წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-რადიკ სარკისიან,წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-ავთანდილ ვანაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ჯაბა აბულაძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის“ თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:20 საათზე;

დღის წესრიგი:

1. **განკარგულების პროექტი "მდგრადი განვითარების მიზნების წალკის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ";**

2. **„საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის #194 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის ბრძანების პროექტის ცნობად მიღება.**

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი "მდგრადი განვითარების მიზნების წალკის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ"; ბიურომ ღია კენჭისყრით (12 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, დაიწყოს განკარგულების პროექტის განხილვის პროცედურები და დაევალოს საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებს, სხდომებზე განიხილონ აღნიშნული განკარგულების პროექტი და წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები.

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ". ბიურომ ღია კენჭისყრით (12 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის #194 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის ბრძანების პროექტი შეტანილ იქნეს მ/წლის საკრებულოს 15 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში ცნობად მისაღებად;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე ი.გიგინეიშვილი *ი.გიგინეიშვილი*